ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

იხ. მე-2 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 9 (7070)

13 იანვარი, ოთხშაბათი. 1982წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ფიზიკური კულტურა და სპორტი — ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში!



მხიარულად და ნაყოფიერად განვლო იანვრის არდადეგების დღეებმა. დასვენებულნი, ხალისიანნი დაუბრუნდნენ ბავშვები მშობლიურ სკოლას, ნაცნობ სპორტულ დარბაზს.

ეს სურათები ჩვენმა კორესპონდენტმა ე. ხუცურაულმა თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში გადაიღო: (ზევით) ბიჭებს ვარჯიშს უტარებს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გ. გაბიტაშვილი; (შუაში) — ფიზკულტურის მასწავლებელი შ. ციხისელი გოგონებს ორძელზე ავარჯიშებს; (ქვემოთ) მეათეკლასელებს თეორიულ გაკვეთილს უტარებს ახალგაზრდა მასწავლებელი თ. კოტორეიშვილი.

ინტერვიუ

რწმენის საზღაური

როგორც ვიუწყებოდით, ბაქოსა და მინსკში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის პირველი ტურის მატჩები. თბილისის დინამოელებმა, რომლებიც ბაქოს ქვეჯგუფში გამოდიოდნენ, 5 თამაშიდან 5 ქულა მოაგროვეს. ორჯერ გამარჯვება იზეიმეს, ამდენჯერვე დამარცხდნენ, და ერთხელ ფრედ დაამთავრეს შეხვედრა.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის მწვრთნელს ჯ. წიკლაურს და ესაუბრა ბაქოში გამართული ასპარეზობების შესახებ.

● „ლელო" საკდესის ძუნწ ინფორმაციებს ღებულობდა ჩვენი გუნდის გამოსვლების შესახებ. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, გვაინტერესებს მოგვითხროთ შეჯიბრების სტარტზე ზედიზედ ორი დამარცხების მიზეზებზე. საერთოდ ყოველგვარი დამარცხება საწყენია, მაგრამ დასანანია, როცა საყვარელი გუნდი მატჩებს თითო ბურთის სხვაობით აგებს.

— ჩემპიონატის დაწყებამდე საბჭოთა წყალბურთელების უფროსმა მწვრთნელმა ბორის პოპოვმა არბიტრებს სთხოვა ასპარეზობისას აღეკვეთათ სპორტსმენთა უხეში, ძალისმიერი თამაში. ეს ნაკარნახევი იყო იმით, რომ საერთაშორისო შეხვედრებში უცხოელი მსაჯები ძალისმიერი თამაშის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ჩვენ ამისთვის მზად ვიყავით და გუნდი ცდილობდა რაც შეიძლება კორექტულად ეთამაშა. სამწუხაროდ, არც მასპინძელთა და არც მოსკოვის უნივერსიტეტელთა გუნდის წევრები, რომლებთანაც დავმარცხდით, შეჯიბრების სტარტზე არ ცდილან ამისთვის ანგარიში გაეწიათ. გარდა ამისა, ამ გუნდებთან შეხვედრებში შედარებით დაბალკვალიფიციური არბიტრები გვემსახურებოდნენ, რომლებსაც უმაღლესი ლიგის მატჩების მსაჯობის გამოცდილება არ ჰქონდათ. ისინი თავდაპირველად თვალს ხუჭავდნენ, ან ალბათ ვერ ამჩნევდნენ მეტოქეთა უხეშობას. მაგრამ ყველაფერი რომ მსაჯებს გადავაბრალოთ, სწორი არ იქნება. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ არც კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის, არც „უნივერსიტეტის" გუნდი ხელწამოსაკრავი არ გახლავთ. ბაქოელები უკანასკნელ წლებში 6 საუკეთესო გუნდში იმკვიდრებენ ადგილს, ამასთან ისინი შინ ასპარეზობდნენ და, როგორც იტყვიან, „საკუთარი კედლებიც" ეხმარებოდა. უნივერსიტეტელთა გუნდი კი ქვეყანაში ერთ-ერთი უძლიერესია და, როგორც წესი, მუდამ უმაღლესი ხარისხის მედლებისთვის იბრძვის. ჩვენი გუნდის მარცხის მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, ისევ ჩვენსავე გუნდში უნდა ვეძებოთ. უნივერსიტეტელებთან მატჩში სულ ახლოს ვიყავით ფრესთან. როცა მატჩის დამთავრებამდე წუთზე ცოტა მეტი დრო რჩებოდა და ანგარიში 5:5 იყო, ზუმბულიძე მეკარის პირისპირ გავიდა. მეკარე წინ გამოვიდა, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ ზუმბულიძემ სუსტად ტყორცნა და ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია. სტარტზე ორი წაგება აგრეთვე განაპირობა მეკარე მიხეილ გიორგაძის შედარებით უფერულმა თამაშმაც. იგი ჩინებული მეკარეა, ჩვენი ქვეყნის წყალბურთელთა ნაკრების ღირსებას იცავს, მაგრამ ბაქოში შეჯიბრების დაწყებამდე შეუძლოდ იყო და ამან დაღი დაასვა მის მომზადებას. მიხეილი მალე ჩადგა ჩვეულ სპორტულ ფორმაში და ძველებური ოსტატობით, საიმედოდ იცავდა კარს. ეს რომ თანაგუნდელებმა იგრძნეს და დაინახეს, მათაც იმედი მიეცათ და გაცილებით უკეთ დაიწყეს თამაში.

● და მაინც, ყველაზე უკეთ ვინ ითამაშა?

— ბოლო სამ თამაშში მიხეილ გიორგაძემ, კუტივაძემ, დოლიძემ... საერთოდ, ყველამ კარგად ითამაშა. ისინი, უწინარეს ყოვლისა, თამაშში კოლექტიურობის გრძნობით გამოირჩეოდნენ. მინდა აღვნიშნო ალეკო გიორგაძის თამაში. იგი აქამდე იშვიათად გამოგვყავდა სარბიელზე, ახლა კი მთელი დატვირთვით იბრძოდა და იმედიც გაგვიმართლა. მის თამაშში აშკარა პროგრესი შეიმჩნევა. მინდა აღვნიშნო დებიუტანტი ბალათურიაც. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებიდან მოვიწვიეთ და საკავშირო ჩემპიონატში პირველად იბრძოდა. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ბაქოში მან კარგად ითამაშა.

● შარშანდელ საკავშირო ჩემპიონატში ალმაათელი წყალბურთელები მუდამ დაუმარცხებლად ტოვებდნენ სარბიელს. მხოლოდ თბილისელებთან შეხვედრაში ვერაფერს ვერ გახდნენ და დამარცხდნენ. ახლა კი ჩემპიონებს ქულა დააკარგვინეთ...

— ალმაათელ წყალბურთელებს სათადარიგოთა საკმაოდ „გრძელი სკამი" აქვთ. მათთან სწრაფი თამაშით ვერაფერს გავხდებოდით. ამიტომ ვცდილობდით ტემპი დაგვეგდო. ამ ტაქტიკამ გაამართლა. ბრძოლა მეტად დაძაბულად და საინტერესოდ, ძირითადად თანაბრად წარიმართა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მე-4 პერიოდში მატჩს 2 ბურთის სხვაობით ვაგებდით, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა თავდაუზოგავი თამაშით შეძლეს 2 ბურთის გატანა და მატჩის ფრედ დამთავრება.

● რადგან თამაშის ტაქტიკაზე ჩამოვარდა სიტყვა, თქვენი აზრით როგორ განახორციელა გუნდმა მწვრთნელთა ჩანაფიქრი?

— საერთოდ, წყალბურთის თამაში მდიდარი არაა ტაქტიკური ვარიანტებით, მაგრამ ის დავალებები, რომლებიც წყალბურთელებს მივეცით, კარგად შეასრულეს. ყველა გუნდთან სხვადასხვაგვარ ტაქტიკას ვარჩევდით. მაგალითად, ლვოველებთან მატჩში ჩვენი გუნდი ძირითადად უკანდაწეული თამაშობდა, რასაც მოულოდნელი, სწრაფი კონტრშეტევა მოსდევდა. უნივერსიტეტის წყალბურთელებთან, ისე როგორც ალმა-ათის „დინამოსთან", ვცდილობდით თამაშის ტემპი დაგვეგდო. ბურთს თავდაპირველად ნელა ვათამაშებდით. როცა ბურთის ფლობის 35 წამიანი ლიმიტი იწურებოდა, სწრაფ თამაშზე გადავდიოდით...

● თქვენი საუბრიდან იგრძნობა, რომ კმაყოფილი ხართ ჩვენი გუნდის გამოსვლით.

— დიახ, საერთო ჯამში კმაყოფილნი ვართ. განსაკუთრებით მახარებს ჩვენი გუნდის საბრძოლო განწყობა. შეჯიბრების სტარტზე ზედიზედ ორ მარცხს ბიჭებისთვის გული არ გაუტეხია. პირიქით, მეტი მონდომებით დაიწყეს თამაში. ფრე ისეთ ძლიერ მეტოქესთან შეხვედრაში, როგორიც ალმაათელი წყალბურთელები არიან, ჩვენს გუნდს უთუოდ ჩაუნერგავს საკუთარი ძალების რწმენას.

● სად და როდის გაიმართება I წრის მეორე ტურის მატჩები? ვის შეხვდებიან თბილისის დინამოელები?

— მეორე ტურის მატჩები 19 იანვარს დაიწყება. ჩვენ თბილისში ვიასპარეზებთ. აქვე გამოვლენ სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის, ალმა-ათის „დინამოს", ტაშკენტის „მეხნატის", მინსკის ასკ-ს და „მოსკვიჩის" წყალბურთელები. ჩვენი დინამოელები შეხვდებიან ასკ-ს, „მეხნატისა" და არმიელ მეზღვაურთა წყალბურთელებს.

საუბარი ჩაიწერა
ა. ზურასაშვილმა.

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

გამოშვება №2



„ნადიკვარში“

კარგად იციან საწარმოო ტანვარჯიშის ფასი

ამ საამქროებში ჯერ კიდევ იგრძნობა სახალწლო განწყობილება — ფანჯრებზე ბამბის ფიფქები მიმოუფანტავთ, ლამაზად მოურთავთ ნაძვის ხეები. ხანმოკლე პაუზებით ხმადაბლა გუგუნებენ საკერავი მანქანები...

ალბათ ყველამ იცის, რომ თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარში“ ქალის თეთრეული იკერება, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ასეთი ფაბრიკა ერთადერთია რესპუბლიკაში და აქაური პროდუქციის ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქალების გუნებაგანწყობილება. ეს კარგად იციან ფაბრიკის ხელმძღვანელებმა (დირექტორი **ელგუჯა მამაგეიშვილი**, პარტბიუროს მდივანი **ელიზაბედ ჯაფარიძე**, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე **ლეილა მიქაუტაძე**) და აქ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს ყველა პირობა ჰქონდეთ ნორმალური მუშაობისთვის, დასვენებისთვის.

— რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გასული წლის II-III კვარტალების შედეგების მიხედვით ჩვენი ფაბრიკა გამოვიდა გამარჯვებული, ხოლო რაიონის საწარმოთა შორის მეორე ადგილი დავიკავეთ. ამ წარმატებაში, ვფიქრობ, არც თუ მცირეა საწარმოო ტანვარჯიშის როლი, — გვეუბნება ფაბრიკის დირექტორი ელგუჯა მამაგეიშვილი.

ტერიტორიის სიმცირის გამო ამ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს არ გააჩნიათ არც ერთი სპორტული მოედანი ან დარბაზი, სპორტსმენები კი მაინც ჰყავთ — მერი და ღარეჯან რამიშვილებმა, მზია ზირაქაშვილმა ფრენბურთში გამოიჩინეს თავი, დალი თევდორაშვილი და თამარ ახალაძე მოთხილამურეთა ნაკრებ გუნდში ირიცხებიან, ეკა ნაცვლიშვილი და ნოდარ ხუხაშვილი ურიგოდ არ თამაშობენ ჭადრაკსა და შაშს, მადლენა პაქსაშვილი და ციცინო შიუკაშვილი კი — კალათბურთს.

ფაბრიკის მთელი კოლექტივის დიდი ინტერესი გამოიწვია ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა შიდასაფაბრიკო სპარტაკიადამ, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, მცირეკალიბრიანი შაშხანით ტყვიის სროლა. ამ სპარტაკიადაში ფაბრიკის ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა მონაწილეობდა, მაგრამ აბსოლუტური მასობრიობის მიზნით ჩატარდა სხვა ღონისძიებაც — ტურისტული ლაშქრობა ბაზალეთის ტბაზე..

— გასულ წელს არაერთი სადღესასწაულო თარიღი აღვნიშნეთ და ყოველ მათგანს ჩვენმა კოლექტივმა თითო სპორტული ღონისძიება მიუძღვნა. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეხვდა „ნადიკვარი“ სკკპ XXVI ყრილობას, საბჭოთა საქართველოს 60 წლის თავს. ამ დღეებს მიეძღვნა ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით ორთაჭალა — ბორის ძნელაძე — კუმისის ტბა, ხოლო ბაზალეთის ტბაზე სისტემატურად ვაბარებთ მშთ ნორმატივებს. რამდენიმე საინტერესო სპორტული შეჯიბრება გაიმართა აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა და ფიზკულტურის საკავშირო დღესთან დაკავშირებითაც — გვეუბნება საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ლეილა მიქაუტაძე.

მეორე საამქროს № 7 ბრიგადა: აქ თხუთმეტამდე სხვადასხვა ასაკის ქალი მუშაობს. ხანშიშესულებიც ისეთივე მონდომებით შრომობენ, როგორც ახალგაზრდები. როგორც ყველა სხვა საამქროსა და ბრიგადაში, აქაც ყოველდღე ტარდება საწარმოო ტანვარჯიში.

— წინათ ასეთი ვარჯიშები არ ტარდებოდა, კარგი რამ მოიგონეს სწორედ — შესამჩნევად ვხალისდებით ვარჯიშის შემდეგ, უფრო სწრაფად და ხარისხიანად ვმუშაობთ, — გვეუბნება შემფუთავი მარიამ სუქიაშვილი..

— ჩვენი ქალები ისე მიეჩვივნენ ტანვარჯიშს, წამით რომ დამაგვიანდეს, თვითონ შემახსენებენ, რატომ არ იწყებო, — ღიმილით ამბობს თამარ ახალაძე, რომელიც ამ საამქროში საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებას ხელმძღვანელობს.

მოსაუბრეთ შემოგვიერთდა მოწინავე მკერავი. შესანიშნავი დამრიგებელი, კომუნისტური შრომის დამკვრელი კლარა გოგეშვილი:

— უკვე 26 წელია ამ ფაბრიკაში ვმუშაობ. ათი წელი იქნება, რაც ჩვენთან ტანვარჯიში შემოიღეს. შედარება არც შეიძლება, იმდენად დიდია განსხვავება შრომის ნაყოფიერების ახლანდელ მონაცემებსა და წინანდელ მაჩვენებლებს შორის.

კვლავ მოვუსმინოთ საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარეს ლეილა მიქაუტაძეს, რომელსაც თავად აქვს I და II თანრიგები სპორტის სხვადასხვა სახეობაში:

— მალე მუშაობას დაიწყებს საქართველოს პროფკავშირის XVII ყრილობა. ამ დიდმნიშვნელოვან ფორუმს ფაბრიკა „ნადიკვარი“ თვალსაჩინო საწარმოო და სპორტული მაჩვენებლებით ეგებება. ჩვენ კარგად გვესმის, მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის მნიშვნელობა — გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობა თავისთავად საჭირო და აუცილებელია, ეს გახლავთ მათ მიერ გამოშვებული მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია, რისთვისაც უნდა იღვწოდეს თითოეული ჩვენგანი.

— ...დილის 11 საათია. №2 საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადაში საწარმოო ტანვარჯიში იწყება.

ნანა ჯოხარიძე.

* * *

სურათზე: საწარმოო ტანვარჯიში თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარის“ № 2 საამქროში; ფიზკულტურის მეთოდისტი ლერი გოგაშვილი მუშებს აცნობს სპორტულ შეჯიბრებათა ახლო მომავლის გეგმებს.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ცისფერ ბილიკებზე — პროფესორ-მასწავლებლები

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დიდი ყურადღება ექცევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ“ და თბილისის 38-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის მოწოდების „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზიკური კულტურის ქალაქად“ ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელების საქმეს. დასახულია მთელი რიგი ღონისძიებანი ინსტიტუტის სტუდენტ-ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ინსტიტუტი საკმაოდ მდიდარია სპორტული ტრადიციებით. გაერთიანებული პროფკომისა და სპორტკლუბის ინიციატივით ახლახან კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — ინსტიტუტის საცურაო აუზში მოეწყო შეჯიბრება ცურვაში. ამჯერად ცისფერ ბილიკებზე სტუდენტების ნაცვლად პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები ასპარეზობდნენ. ტრიბუნებზე მრავალმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. შეჯიბრებაში 186 კაცმა მიიღო მონაწილეობა. 50 წელს გადაცილებული პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები 25 მეტრზე, ხოლო 50 წლამდე ასაკისა — 50-მეტრიან დისტანციაზე ცდიდნენ ძალას.

უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა 25-მეტრიან დისტანციაზე, ფინიშთან პირველი მივიდა ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში პროფესორი **დ. ჩხეიძე**, გამარჯვებულს ერთი წამით ჩამორჩა მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **გ. ბოკუჩავა**. მესამე ადგილი დაიკავა ლაბორატორიის გამგემ **ბ. ხაგინაშვილმა**.

50-მეტრიან დისტანციაზე პირველი პრიზი ერგო საავტომობილო გზების საკონსტრუქტორო-საპროექტო ბიუროს უფროს ტექნიკოსს **გ. გოროზიას**, მეორე შედეგი აჩვენა მანქანათა ნაწილების კათედრის დოცენტმა **გ. ჭელიძემ**, ხოლო მესამე — საპრობლემო ლაბორატორიის უფროსმა ინჟინერმა **ბ. ერისთავმა**.

დაწესებული იყო პრიზები ინიციატივისათვის, ვაჟკაცობისა და შემართებისთვის, ყველაზე ხნიერი მონაწილისთვის და ასე განსაჯეთ... ბოლო ადგილის დაკავებისათვისაც კი.

პრიზები გადაეცათ საპატენტო განყოფილების უმცროს მეცნიერ-თანამშრომელს **ლ. ახანიშვილს**, რექტორის თანაშემწეს **თ. ანდღულაძეს**, ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და ბურღვის კათედრის ასისტენტს **რ. ხურამელაშვილს** და სხვ..

გამარჯვებულებს პრიზები და დიპლომები გადასცეს ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკომის თავმჯდომარემ **შალვა ნაჭყებიამ** და ფიზაღზრდის კათედრის გამგემ **ჯანო ბაგრატიონმა**.

რა თქმა უნდა, მთავარი პრიზი არის ჯანმრთელობა, რომელსაც ცურვის ყველა მოყვარულია დაუფლებული. ეს დაადასტურა იმ ჯანსაღმა და მხიარულმა განწყობილებამ, რომელიც საცურაო აუზში სუფევდა. კარგი იქნება, თუ ეს ღონისძიება უფრო ფართო მასშტაბს მიიღებს და ჩატარდება შეჯიბრება თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა შორის არა მარტო ცურვაში, არამედ სპორტის სხვა სახეობებშიც.

ბ. კუპრაშვილი,
მეცნიერული კომუნიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

* * *

სურათზე: ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში, პროფესორი დ. ჩხეიძე ფინალური გაცურვის შემდეგ.

სტარტზე პედაგოგები არიან

თბილისის პირველი მაისის რაიონის სკოლების პედაგოგებმა კარგად იციან, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ფიზკულტურასა და სპორტს. ამიტომ ბევრი მათგანი ხალისით გამოვიდა მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში, რომელიც რაიონის განათლების განყოფილებამ მოაწყო. პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლეში 550-მდე აღმზრდელმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ სკოლების დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები, მასწავლებლები, ორგანიზატორები, პიონერხელმძღვანელები.

სხვადასხვა სახეობაში, სხვადასხვა საფეხურის ნორმატივების ჩაბარებაში პირველი ადგილები მოიპოვეს: 114-ე საშუალო სკოლის დირექტორმა თამილა ნიკოლაიშვილმა, 130-ე საშუალო სკოლის ორგანიზატორმა ცისანა თხინვალელმა, მასწავლებლებმა ზ. მეტრეველმა (166-ე სკოლა), ნინო იმნაძემ (27-ე სკოლა), ტ. კილასონიამ (155-ე სკოლა), ლეილა ჯანჯღავამ (მე-19 სკოლა), იზოლდა სულთანიშვილმა, ა. მაისურაძემ (ორივე — მე-17 სკოლა), ე. გუდიაშვილმა (116-ე სკოლა), დოდო ბერუაშვილმა (130-ე სკოლა), ნ. ხუციბერიძემ და ზ. ტაბატაძემ (ორივე — 22-ე სკოლა), აგრეთვე, 169-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ვ. გიორგაძემ.

შემდეგ აქვე გაიმართა შეჯიბრება ლახტში, რომელმაც შეკრებილთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ა. კაპანაძე,
რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი.

●

შესაშური ერთგულება

დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ლ. პეტრილა რუმინეთის ქალაქ ბაკეუში ცხოვრობს და მისი სახლიდან 20 კილომეტრით დაშორებულ სოფლის სკოლაში მუშაობს. მაგრამ იგი ამ მანძილს როდი უშინდება — ყოველდღიურად სკოლაში და სკოლიდან შინისაკენ ფეხით მიეშურება, ასე რომ, ყოველთვიურად ლ. პეტრილა 1000 კილომეტრს ფარავს. განსაკუთრებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ შვიდი წლის მანძილზე მას სამსახურში ერთხელაც არ დაუგვიანებია, თანაც არავითარი ტრანსპორტით არ სარგებლობს უამინდობის დროსაც კი. ამას პეტრილა ასე ხსნის: მხოლოდ ამგვარი ფიზიკური დატვირთვა მაკაჟებს, საგრძნობლად მახალისებს, შრომის უნარს მმატებს.

ყველა სალაშქროდ

ავსტრიის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად ამ ქვეყანაში მოაწყვეს მასობრივი ქვეითი ლაშქრობა. ერთდროული სტარტი მთელს ქვეყანაში რადიოს საშუალებით მიეცა. მოლაშქრეებმა, რომლებმაც 10 კილომეტრი 75 წუთზე უკეთეს დროში გაირბინეს ან იგივე მანძილი 2 საათზე უფრო სწრაფად დაფარეს, სამახსოვრო დიპლომები მიიღეს.

ბლითები და ცხელი ჩაი

რიბინსკის მცხოვრებნი ზეიმით შეხვდნენ სათხილამურო სეზონის გახსნას. ვერეტეს მიკრორაიონის ვეტერანებმა ბ. ბარსკიმ, კ. ტელეგინმა და კ. ტრავნიკოვმა პირველებმა გახსნეს გასავლელი კილომეტრების ანგარიში. მერე სასულე ორკესტრის ჰანგების თანხლებით ათასობით მოთხილამურე გაუდგა ჯანმრთელობის ბილიკებს. ფიზკულტურის მასწავლებელ ა. კოვალკოვის ოჯახმა თავის ანგარიშზე იმ დღეს პირველი ასეული კილომეტრი ჩაიწერა. ეს ის კოვალკოვები არიან, რომლებიც შარშანდელი კონკურსის — „რიბინსკის მოთხილამურევი— 1500“ ლაურეატები გახდნენ. მაშინ ოჯახის ოთხივე წევრმა სწორედ 1500 კილომეტრი გაიარა, წლეულს კი ორჯერ მეტი გზის გავლა აქვთ დაგეგმილი, პირველი დღის შეჯიბრების ფინიშთან მოთხილამურეებს ცხელი ბლითი და არომატული ჩაით გაუმასპინძლდნენ.

მასპინძლობას არ უქებენ

□

მაღალ დონეზე ჩავატაროთ ყოველი სპორტული ღონისძიება!

□

თბილისში, საქართველოს პროფკავშირთა მძლეოსნობის სასახლეში კვირას დამთავრდა რესპუბლიკის სპორტსკოლების მძლეოსანთა პირადგუნდური ზამთრის ტურნირი, რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს თაოსნობით გაიმართა. დებულების მიხედვით სასპარეზოდ უნდა შეგროვილიყო საშუალო სკოლების 1965–1966 წლებში დაბადებული მოსწავლეებით დაკომპლექტებული კოლექტივები. ამის გამო საქართველოს პროფკავშირთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის ნაკრების შემადგენლობაში რამდენიმე ათლეტი ვერ გამოვიდა.

შეჯიბრებაში 10 კოლექტივი მონაწილეობდა. პროგრამაში იყო ორჭიდები — ყველა მძლეოსანი ძირითად და მომიჯნავე სახეობაში ცდიდა ძალას, გამარჯვებულს კი ორივე მაჩვენებლის ჯამი წარმოაჩენდა.

გუნდური პირველობა მოიგო განათლების სამინისტროს სკოლის ნაკრებმა. II იყო თბილისის განათლების სამმართველოს, III — პროფკავშირთა სპორტსკოლის კოლექტივები.

როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, ტურნირმა რამდენიმე ნიჭიერი მძლეოსანი გამოავლინა, განსაკუთრებით გამოჰყოფენ თარჯმორბენლებს გია გიგოლაევსა (პროფსაბჭოს სკოლა) და ქუთაისელ ნუგზარ მიხელაშვილს. გიგოლაევმა, რომელიც 60 და 110 მეტრზე თარჯრბენში ასპარეზობდა, აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწია — 1336 ქულა მოაგროვა, მან ორივე მანძილზე II თანრიგის ნორმატივს გადაამეტა.

უნდა დავასახელოთ ასევე პროფსაბჭოს სკოლის გუნდის წევრი ზ. ზილბენშტეინი (მწვრთნელი ს. ხაჩატურიანი), რომელმაც წინაღობებით 1500 და 2000 მეტრზე რბენაში I თანრიგის შედეგები აჩვენა, ამასთან ერთად პირველ მანძილზე ჭაბუკთა რესპუბლიკური მიღწევა გააუმჯობესა (4.12,6), ორჭიდში კი 1188 ქულას მოუყარა თავი. აბსოლუტური II შედეგი ჰქონდა მის თანაგუნდელს მ. პილოიანს. ამ ჭაბუკმა 1000 მეტრზე გარბენს მოანდომა 2.38,1, 3000 მეტრს — 8,42,9 (ჯამში 1283 ქულა).

გოგონებიდან უნდა გამოვყოთ ი. კოსორუკოვა (თბილისის განათლების სამმართველო) — 1041 ქულა, რომელმაც 60 მეტრზე რბენაში I თანრიგის ნორმას გადაამეტა (7,7) და მერე კი 200 მეტრზე რბენაში 27,3 წამი აჩვენა; მ. მუხაძე (განათლების სამინისტროს სპორტსკოლა), რომელმაც 60 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში II თანრიგის შედეგებით გაიმარჯვა — 1162 ქულა; 1000 ქულის ზღვარი გადალახეს განათლების სამინისტროს გუნდის წევრებმა გ. ბენიძემ, გ. გელაშვილმა, ი. შუმაკოვმა, პროფსაბჭოს სპორტსკოლის აღსაზრდელებმა დ. ლისაკოვმა, ა. პრომშევმა, აგრეთვე ზ. ქათამაძემ და გ. ემუხვარმა (ორივე — აფხაზეთი).

— შედეგები ალბათ უკეთესი იქნებოდა, რომ მძლეოსნობის სასახლის დირექციასა თუ საქართველოს პროფკავშირთა თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს, რომლებიც ამ ბაზას უძღვებიან, ასპარეზობის ნორმალური პირობები შეექმნათ, — გვითხრა მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ნ. თავურმა.** — მანეჟზე საგრძნობლად ციოდა...

მართლაც, ამ ბაზის გათბობის შესახებ კარგა ხანია ლაპარაკობენ. სამონტაჟო სამუშაოებიც ალბათ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გაუჩაღებიათ აქ, მაგრამ მერე სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო მემონტაჟეებს საქმე მიუტოვებიათ, ამიტომ გასულ შაბათკვირას აქ მხოლოდ ოთხიოდე ღუმელი მუშაობდა.

მოსაუბრეთ სხვა სპეციალისტებიც შემოგვიერთდნენ.

სსრ კავშირის საპატიო მსაჯი ა. მალიშკოვი: ტურნირისადმი ასეთ უხეირო მასპინძლობას არსად შევსწრებივარ. კვირას ექიმი დაგვიანებით გამოცხადდა, სასახლის დირექციის ხელმძღვანელს საერთოდ ვერსად ნახავდით, არ იყვნენ მუშები, რომლებიც მსაჯებს სასპარეზოთა მოწყობაში მოეხმარებოდნენ. გარდა ამისა, არ მუშაობდა ტაბლო და სხვა შუქმაჩვენებლები, რაც, როგორც შევიტყვეთ, ამ საქმის სპეციალისტის შტატის გაუქმების შედეგია. მძლეოსნობის სასახლეს არა აქვს ინვენტარი — მოზარდთა ბირთვები, წინაღობები, წრეების მაჩვენებლები... ბირთვები და სასტარტო პისტოლეტების ვაზნები „ლოკომოტივის“ სტადიონიდან მოვიტანეთ, წინაღობათა ძელი, სიმაღლეზე ხტომის დგარები და თამასები — „დინამომ“ გვათხოვა...

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სსრ კავშირის საპატიო მსაჯი ჰ. ათაბეგოვი: არენდისთვის საკმაო თანხა წაიღეს, იმდენი, პირველი კატეგორიის ნაგებობას რომ უნდა მოხმარდეს, პირველი კატეგორიის სპორტულ ბაზას კი ყველაფერი საკუთარი უნდა ჰქონდეს. სამდივნოსთვის ხეირიანი ოთახიც არ გამოგვიყვეს, არადა, მძლეოსნობის სასახლეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჰქონდეს დადგენილი „მსაჯთა ოთახი“, რომელშიც ნორმალური მუშაობის ყველა პირობა იქნება.

— ზუსტად ამგვარ პირობებში მოგვიხდა თბილისის პირველობის ჩატარება გასული წლის დეკემბრის დამლევს, — საუბარში ჩაერთო თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი **თ. ჯოხაძე** — მაშინ სატერფულები და ზოგიერთი სხვა ინვენტარიც არ ჰქონდათ... ამ შეჯიბრებისთვის კი ორი დღის მანძილზე ორგანიზატორებმა მარტო მანეჟის იჯარის სახით 600 მანეთი გადაიხადეს, აღარას ვამბობთ სასტუმროზე...

მართლაც, როდის დამთავრდება თბილისის მძლეოსნობის სასახლის კეთილმოწყობა, რომ ასპარეზობამ ამ ბაზაზე ნორმალურად, მაღალ დონეზე ჩაიაროს?

ლ. გელაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ჭაბუკები 800-მეტრიან დისტანციაზე; ჭოკით ხტება ი. დიაჩენკო (თბილისის განათლების სამმართველო); ქვევით მარცხნივ — გოგონების თარჯრბენი; ფინიშთან — ცხინვალელი ე. ნანიევა.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.



● ფეხბურთი

ჟოაო აველანჟი: „ძალიან მინდა ვნახო თბილისი!“

მოსკოვში, ვ. გრანატკინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე საპატიო სტუმრად იმყოფებოდა ფიფა-ს პრეზიდენტი **ჟოაო აველანჟი,** რომელმაც პრესკონფერენცია გამართა ცსკა-ს სპორტულ კომპლექსში. პრესკონფერენციის შემდეგ მას შეხვდა საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი **ა. ჭკუასელი,** რომელმაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით აველანჟს საჩუქრად ქართული მამაპაპური ხანჯალი გადასცა.

სტუმარმა მადლობა გადაიხადა ძღვენისთვის და აღნიშნა, რომ ასეთი ორიგინალური საჩუქარი მას არასოდეს მიუღია... 66 წლის მანძილზე.

გაიმართა გულთბილი საუბარი. აველანჟმა თქვა:

— ქართული ფეხბურთი დღეს საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში დგას და დიდად უწყობს ხელს მისი ავტორიტეტის ამაღლებას. თბილისელი დინამოელები ჩივაძე, შენგელია, ყიფიანი ევროპული, შეიძლება ითქვას, მსოფლიო კლასის ფეხბურთელები არიან. თბილისის სტადიონის შესახებ ბევრი კარგი მსმენია, განსაკუთრებით უეფა-ს პრეზიდენტის არტემიო ფრანკისაგან, რომელმაც მითხრა, საქართველოს დედაქალაქის სტადიონი ისეთივე ლამაზია, როგორც მათი ფეხბურთიო. ძალიან მინდა ვინახულო თბილისი, შეიძლება ეს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მოხერხდეს, როდესაც ჩვენ შევარჩევთ ქალაქებს ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ჩასატარებლად. ალბათ იცით, რომ მასპინძლობის პრეტენდენტთა შორის სხვა ქვეყნებთან ერთად არის საბჭოთა კავშირიც. სიამოვნებით ჩამოვიდოდი თბილისში, შევხვდებოდი თქვენს სახელოვან ფეხბურთელებს და, ცხადია მიხეილ მესხს, რომლის ვირტუოზული თამაში დღესაც თვალწინ მიდგას — თქვა დასასრულს ჟ. აველანჟმა.

ბრანკო ზებეცი: „ყიფიანი, ბესონოვი, შენგელია“

ზაგრებელი ჟურნალისტი კ. რორა ამას წინათ ეწვია ცნობილ იუგოსლაველ მწვრთნელს ბ. ზებეცს, რომელსაც თბილისელი გულშემატკივრები იცნობენ „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ მუშაობით. ზებეცი ახლა გფრ-ის სხვა კლუბს — დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელობს. საუბარი ჩამოვარდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის პრობლემებზე:

— ვინ მიგაჩნიათ მსოფლიო პირველობის ფავორიტებად?

— ფავორიტი, ალბათ, ერთია: ბრაზილიის ნაკრები. ეს ძალზე ძლიერი გუნდია პირველხარისხოვანი სოლისტებით. ასევე ძლიერად თამაშობენ გფრ-ისა და არგენტინის გუნდები. უნდა დავასახელოთ ესპანეთიც, ვინაიდან იგი მასპინძელია. მეტად ძლიერი იქნება საბჭოთა ნაკრები, რომლის თამაში საფუძვლიანად გარდაიქმნა, მისი ვარსკვლავებია ყიფიანი, ბესონოვი, შენგელია.

— იუგოსლავია?

— იგი პირველ 8 გუნდს შორის უნდა მოხვდეს, თუმცა, შეუძლია უკეთესი ადგილის დაკავებაც.

შემდეგ ზებეცმა დაწვრილებით ილაპარაკა იუგოსლავიის ფეხბურთის პრობლემებზე, არ დაეთანხმა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს მ. მილიანიჩს, რომელსაც თავისი ქვეყნის უძლიერეს მეკარედ პანტელიჩი მიაჩნია.

— ვინც გნებავთ ის დააყენეთ კარში, პანტელიჩის გარდა. მე ამას წინათ ვნახე „ჰამბურგერ შპორტფერაინისა“ და ბორდოს „ჟირონდას“ (პანტელიჩი აქ თამაშობს) მატჩი. ხომ არ გგონიათ, რომ ფრანგები კალცმა, მაგათიმ ან ჰრუბეშმა დაამარცხეს და დაატოვებინეს უეფა-ს თასი, ეს პანტელიჩის წყალობით მოხდა. ასეთი სუსტი მეკარე ადრე არასოდეს მდგარა იუგოსლავიის ნაკრების კარში. ნახა თუ არა ეს მატჩი მილიანიჩმა? თუ ნახა, სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს საქმე.

მსოფლიოს თასი ესპანეთშია

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი პრიზი ბუენოს-აირესიდან ესპანეთში ჩავიდა.

ეს (იხ. ფოტო) ექვსკილოგრამიანი ოქროს თასი აეროდრომიდან პოლიციის ესკორტით ესპანეთის ცენტრალურ ბანკში მიიტანეს, სადაც მას სეიფში შეინახავენ. თასს მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალამდე, რომელიც 13 ივნისს გაიმართება, მხოლოდ ერთხელ იხილავენ. ეს მოხდება 16 იანვარს, მადრიდში XII პირველობის ფინალური ტურნირის წილისყრაზე.

„მამები“ და „შვილები“

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ტრადიციად იქცა საქალაქო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ გუნდებს შორის.

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში შეჯიბრების დასკვნითი დღეა. 17 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან პირველი მაისისა და კიროვის სახელობის რაიონების ნორჩთა გუნდები, ხოლო შემდეგ — ლენინის რაიონისა და საქარხნო რაიონის მოზრდილები.

დასასრულ გაიმართება მატჩები I ადგილისთვის. ერთმანეთს შეხვდებიან საქარხნო რაიონისა და ლენინის რაიონის „შვილთა“ გუნდები, ხოლო „მამათა“ შორის — 26 კომისრის სახელობისა და გლდანის რაიონის გუნდები.

● ჭადრაკი

წარმატებითი სტარტი

იაცეს (იუგოსლავია) ქალთა საერთაშორისო ტურნირი წარმატებით დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა. II ტურში ა. ვან დერ მიიესთან (ჰოლანდია) გამარჯვების შემდეგ იგი ლიდერობს 2 ქულით.

ოთხ მონაწილეს 1,5-1,5 ქულა აქვს.

შემოკლებული დროის კონტროლით

ტალინის პ. კერესის სახელობის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ტრადიციული საკავშირო ტურნირი შემოკლებული დროის კონტროლით. ამ ტურნირის მონაწილენი ორ დღეში სამ პარტიას თამაშობდნენ. ცხადია, თითოეულ პარტიაზე მოსაფიქრებელი დროც შემცირებული იყო.

ამჯერად მთავარ პრიზს დაეუფლა ოდესელი დიდოსტატი ვ. ტუკმაკოვი, რომელმაც ყველა 9 პარტია მოიგო.

ელვისებურ თამაშში

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის ჭადრაკის სასახლის პირველობამ ელვისებურ თამაშში. შერჩევითი ტურნირებიდან ფინალში გავიდნენ საერთაშორისო ოსტატი გ. ზაიჩიკი, ოსტატები — საქართველოს ჩემპიონი ზ. სტურუა, ზ. აზმაიფარაშვილი, ა. ბოკუჩავა, ზ. მიქაძე და ოსტატობის კანდიდატი ბ. ხეცურიანი.

მძაფრ ბრძოლაში I-II ადგილები გაიყვეს სტურუამ და აზმაიფარაშვილმა. III ადგილი დაიკავა ხეცურიანმა.

თ. ქიქავა.

● შაში

ნორჩი ჩემპიონები

მოსწავლეთა არდადეგების დღეებში ქ. რუსთავში ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა 64-უჯრიან შაშში.

გოგონათა შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ შორენა ბოლქვაძემ (მწვრთნელი ა. გრიგოლია) — 9,5 ქულა 11-დან. II ადგილი დაიკავა ე. გალაგანმა (სოხუმი) — 8,5, III — ი. ბექაშვილმა (თბილისი) — 8.

ჭაბუკთა შორის უძლიერესის სახელი დარჩა 15 წლის სოხუმელ ედუარდ იზრაელიანს (მწვრთნელი გ. არუთინოვი). — 9,5 ქულა 11-დან. II ადგილი დაისაკუთრა დ. შანიძემ (სამტრედია) — 9, III — მ. გვალიამ (სოხუმი) — 8,5.

ვ. კანდელაკი,
პირველობის მთავარი მსაჯი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ყველას აჯობა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში უძლიერესი მოთამაშეების მონაწილეობით გაიმართა ტურნირი 100-უჯრიანი შაშის ელვისებურ თამაშში. ყველას აჯობა ოსტატმა გ. მინასიანმა.

● ცურვა

ფლორიდაში, გეინსვილის 25-მეტრიან საცურაო აუზში გაიმართა ამერიკის თასის გათამაშება. შეჯიბრებამ მრავალი ქვეყნის მოცურავე მიიზიდა.

აღსანიშნავია უ. გევენიგერის (გდრ) გამოსვლა ქალთა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში — 1.07,66. ამ სახეობაში ვაჟებში საუკეთესო იყო კანადელი ვ. დევისი — 1.01,36. იუგოსლაველმა დ. პეტრიჩმა იმარჯვა ვაჟთა 800 მეტრზე ცურვაში — 7.53,46. საბჭოთა სპორტსმენებიდან საუკეთესო აღმოჩნდა ა. მარკოვსკი, რომელმაც 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში გაიმარჯვა—53,93. მისი თანაგუნდელი ს. კრასიუკი მეორე იყო 200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 1.50,14.

● ველოსპორტი

ვენესუელის გზებზე მიმდინარეობს მრავალდღიანი საერთაშორისო შეჯიბრება ველოსპორტში. ეს პირველი ასპარეზობაა წლეულს, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობენ. 1264-კილომეტრიანი მანძილი 14 ეტაპადაა დაყოფილი. უკან დარჩა სამი ეტაპი. შეჯიბრებას ლიდერობს კუიბიშეველი რ. გალიალეტდინოვი. მეორე ადგილზეა მასპინძელი მ. მედინა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ, აგრეთვე, არგენტინის, კუბის, იტალიისა და აშშ-ს კოლექტივები.

● თხილამურები

კრასნოგორსკში ყინვების გამო მსაჯებმა მოთხილამურე ქალთა საკავშირო თასის გათამაშების 50-კილომეტრიანი მანძილი ერთი წრით შეამცირეს. 37,5 კმ-ზე ყველას აჯობა ი. ბურლაკოვამ — 1:56.37,3. ქვეყნის ნაკრების წევრები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ, ისინი მსოფლიო თასების გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ გაემგზავრნენ.

პანორამა

მსოფლიოს თასის გათამაშებაში ჩაებნენ მრბოლები. გფრ-ის ქალაქ რაიტ-იმ-ვინკელში (პირველი ეტაპი) სტარტი აიღეს 15 კილომეტრზე მოასპარეზე ვაჟებმა. იმარჯვა ნორვეგიელმა პოლ-გუნარ მიქელსპლასმა — 46.57,4. მეორე იყო მისი თანაგუნდელი ტურ ხოკონ ხოლტე — 47.07,1. მესამე — ლეიკ-პლესიდის ოლიმპიური ჩემპიონი თომას ვასბერგი — 47.09,1. აღსანიშნავია, რომ ასპარეზობაში არ გამოდიოდნენ უძლიერესი საბჭოთა სპორტსმენები.

კლინგენტალში (გდრ) ასპარეზობდნენ ქალები. 10-კილომეტრიან დისტანციაზე პირველი იყო კ. იაროვა (ჩეხოსლოვაკია) — 33.59,3. მეორე შედეგი აქვს ნორვეგიელ ბ. პეტერსენს — 34.05,7, მესამე — ა. პასიაროვას (ჩეხოსლოვაკია) — 34.47,7. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო კუიბიშეველი მ. ტომაშევიჩი — 35.10,1.

მსოფლიოს თასის მომდევნო შეჯიბრებები 15 და 16 იანვარს ლა-ბრესსა (საფრანგეთი) და ლე-ბრასიუში (შვეიცარია) გაიმართება.

● ტრამპლინი

გორკში დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში ჭაბუკთა შორის. სტარტზე 101 მხტომელი გამოვიდა. პირველობა ალმაათელებმა მოიპოვეს. მეორე ადგილზეა ლენინგრადის, ხოლო მესამეზე ტომსკის გუნდი.

წოდებათა მინიჭება

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მოთხოვნათა შესრულებისთვის ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა **„სპორტის ოსტატის"** წოდება მიანიჭა:

ტრეკზე ველორბოლაში — **ა. ბერიკაშვილს** (რუსთავი, „შრომითი რეზერვები"), **გ. ჩირიკაშვილს** (თბილისი, „ბურევესტნიკი"), **ო. არეშინს, ვ. სიროვატკინს** (ორივე — თბილისი, „განთიადი"), **მ. ბუცხრიკიძეს** (თბილისი, „შრომითი რეზერვები").

საგზატკეცილო ველორბოლაში — **კ. ანტონაშვილს** (თბილისი, „სპარტაკი").

ტყვიის სროლაში — **გ. კოლასონიას** (ქუთაისი, „დინამო"), **ი. ჯოლიას** (სოხუმი, „კოლმეურნე"), **ა. ფაჩიბერიძეს** (ქუთაისი, „კოლმეურნე"), **რ. ბაბახანოვს** (თბილისი „განთიადი"), **ნ. ბუტკოს** (თბილისი, „დინამო"), **მარინა კურმაევას** (თბილისი, ასკ).

მშვილდოსნობაში — **ზ. ცხადაიას, დ. გივიშვილს** (ორივე—თბილისი, „ბურევესტნიკი").

სასტენდო სროლაში — **ზ. მეგრელიძეს** (მახარაძე, „სპარტაკი").

ძალოსნობაში—**ს. ალიევს** („ზენიტი"), **კ. ბალათურიას** (ზუგდიდი, „კოლმეურნე"), **ზ. ჩირგაძეს** (თბილისი, „კოლმეურნე").

აფროსნობაში — **ჯ. ცომაიას** (ფოთი, „ვოდნიკი"), **გ. ზიბზიბაძეს** (სოხუმი „ვოდნიკი"), **კ. გოდიბაძეს** (თბილისი, „განთიადი").

ბაიდარებით ნიჩბოსნობაში — **ქეთევან მარეხაშვილს** (თბილისი, „შრომითი რეზერვები").

ჩოგბურთში — **ირინე მალაციძეს** (თბილისი, „დინამო"),

საბანძრო გამოყენებით სპორტში — **ო. სიმვულიდის** (ბათუმი, „დინამო").

ავტოსამოდელო სპორტში — **პ. შარიფაშვილს** (თბილისი, დოსააფი).

დამაჯერებლად

კიევის „სტროიტელის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგ შეხვედრაში შინ დაამარცხა ბრატისლავის „ინტერი" (ჩეხოსლოვაკია) — 104:80 (48:38).

მხოლოდ ცაციათი

ცნობილი მოფარიკავეები — უნგრელი გედევარი და შვედი ხარმენბერგი, საბჭოთა ოსტატები რომანკოვი, სმირნოვი, ბელოვა, სიდიაკი, ამერიკელი ჩოგბურთელი მაკინროი, ჩვენი შესანიშნავი ჰოკეისტები ტრეგუბოვი, ალმეტოვი, პუჩკოვი, კონოვალენკო... უსასრულოა უძლიერეს ცაცია-სპორტსმენთა სია. მათ შორის არიან შესანიშნავი მოკრივეები, მსროლელები, სამთომთხილამურეები... რაში მდგომარეობს ცაციების წარმატებათა საიდუმლოება? აქვს კი რაიმე უპირატესობა ცაციას, — მეცნიერების ენაზე სხეულის მარცხენამხრიანი სტრუქტურულ-ფუნქციონალური ასიმეტრია და მარჯვენა ტვინიანი რომ ჰქვია — „მარჯვენახელა" მეტოქის წინაშე? ამ და კიდევ რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ ვოროშილოვგრადის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ანატოლი ჩუპრიკოვს.

● რამდენად კანონზომიერია ადამიანების დაყოფა „მემარცხენეებად" და „მემარჯვენეებად"? ხომ ხშირია შემთხვევა, როცა მშობლები, პედაგოგები ცდილობენ „მემარცხენეობას" გადააჩვიონ ბავშვები და ბოლოსდაბოლოს ისინი „მემარჯვენედ" აქციონ.

— ადამიანთა ორ ჯგუფად დაყოფა არ არის სწორი, რადგან არიან ისეთებიც, რომლებიც თავისუფლად ხმარობენ ორივე ხელს. მათი „გამარჯვენება" შეუძლებელია: ცაციას შეუძლია „შეინიღბოს", ყველაფერი მარჯვენა ხელით აკეთოს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, დაძაბულ სიტუაციაში, აუცილებლად მარცხენა ხელს აამოძრავებს. ეს კანონზომიერია: სამოტორო პროგრამების შეცვლა შეუძლებელია. იგი ბუნებრივადაა განლაგებული თავის ტვინის ნახევარსფეროებში.

● ბევრნი არიან ისინი, ცაციები?

— ყველა ხალხს სხვადასხვა რაოდენობით ჰყავს ისინი. ასე მაგალითად, გამოკვლევამ, რომელიც რუსებს ჩაუტარეს, გვიჩვენა, რომ 100 ცდის პირიდან ორი-სამი — ცაციაა. სომხებს უფრო მეტი ჰყავთ — 7-8 პროცენტი. ზოგიერთი ამერიკელი სწავლულის დაკვირვებით ამერიკის მოსახლეობაში 5 პროცენტი ცაციაა. ჯერ გაურკვეველია რა იწვევს „მემარჯვენეთა" და „მემარცხენეთა" ასეთ შეფარდებას. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ცაციები თავიანთ მეტოქეებს ჰკუით სჯაბნიან.

● მაინც რაშია მათი უპირატესობის საიდუმლოება?

— არა მხოლოდ ცაცია-მოფარიკავის, ან ვთქვათ, მოკრივის უხერხულ დგომში, რის გამოც მეტოქისათვის მიუდგომელნი არიან. არამედ ცაცია-ათლეტის უპირატესობა შედარებით სწრაფი რეაქცია გახლავთ. „მემარჯვენის" მხედველობით აღქმას ტვინის მარჯვენა სფერო პასუხობს, ხოლო მოძრაობის აქტივობას — მარცხენა. იმისათვის, რომ ნერვულმა იმპულსმა მარჯვენა ნახევარსფეროდან მარცხენა ნახევარსფეროს მიაღწიოს, რასაც მარჯვენა ხელისადმი ბრძანება უნდა მოჰყვეს, განსაზღვრული დროა საჭირო. ცაციასათვის ეს პროცესი გამარტივებულია — ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო საგნის აღქმისთანავე აკონტროლებს მარცხენა ხელის მოქმედებას. რის გამოც ცაციას რეაქცია დაახლოებით 7 მილწამით ჩქარდება.

● ეს ყველაზე უფრო ალბათ ისეთ სახეობებში იგრძნობა, სადაც სისწრაფე გადამწყვეტია: ფარიკაობა, კრივი...

— მხოლოდ აქ არა! გამოკვლევამ დაგვანახა, რომ ცაციების უპირატესობა პრაქტიკულად ყველა სახეობაში თვალსაჩინოა, ისეთშიც, რომელიც დიდ გამძლეობას და ფიზიკური დატვირთვას არ მოითხოვს. ცაციას კონსტრუქციული ტიპი: ეს ხომ, როგორც წესი, წვრილძვალა, ვიწრომხრებიანი აგებულების ადამიანია. მოზომილად ხარჯავს ენერგიას. გარდა იმისა, ტიპიური ცაცია უფრო მყიფე, მაგრამ მიზანდასახულია. მყიფეა იგი არა მარტო ფიზიკურად, ფსიქოლოგიურადაც. მტკივნეულად განიცდის სტრესებს, რაც განპირობებულია იმით, რომ ადამიანის განწყობილებას ტვინის სხვადასხვა სფერო უწევს კონტროლს: ეიფორიასა და შიშს—ტვინის მარცხენა ნახევარსფერო, ნაღველსა და აპათიას — მარჯვენა. ვინაიდან ცაციას ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო უფრო აქტიური აქვს, ამდენად გასაგებია მისი ნერვული განწყობილება.

● გამოდის, რომ მწვრთნელები ცაცია-სპორტსმენებთან მუშაობის დროს უფრო ყურადღებიანნი და გულისხმიერნი უნდა იყვნენ?

— რა თქმა უნდა. მართალია, ცაციების ფსიქოლოგიას ჯერ ნაკლებად ვიცნობთ, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით მათი ფსიქოლოგიური შეგუების შესახებ, განსაკუთრებით ვაჟებისა. ცნობილია, რომ ისინი უფრო მალე გამოძებნიან ერთმანეთში საერთო ენას, ვიდრე „მემარჯვენენი". ეს რომ მწვრთნელებმაც იცოდნენ, შეეცდებოდნენ ცალკე ემეცადინათ ცაციებთან. სასტუმროს ნომრებშიც ერთად აცხოვრებდნენ მათ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დადებითად იმოქმედებდა მათ სპორტულ შედეგებზე.

● მახსენდება შესანიშნავი რუსი მწერლის ნ. ს. ლესკოვის ცაცია-ოსტატი, რომელმაც ბაღლინჯოს დაჭედვა მოახერხა!

— ლესკოვს შემთხვევით არ გამოუყვანია წიგნის გმირად ცაცია. ისინი დიდ ხელოვნებას ავლენენ ისეთ საქმეებში, სადაც ფილიგრანული სიზუსტე და წარმოსახვაა საჭირო. ხშირად შეხვდებით ცაცია მხატვრებს, არქიტექტორებს, ქირურგებს, მოქანდაკეებს. ამიტომაც მრავლად არიან ისინი მოფარიკავეთა შორისაც: იგი უფრო ზუსტად განსაზღვრავს ბრძოლის ფაბულას, წარმოდგენაშივე, ერთი „სვლით" მაინც დაასწრებს მეტოქეს. ეს თვისება და უნარი ანიჭებს უპირატესობას ცაცია მოკრივეებს, ჩოგბურთელებს. როგორც ხედავთ, ცაციები ჩვენს შორის ცოტანი არიან, და როგორც წესი, ისინი ნიჭიერი ხალხია სპორტული თვალსაზრისითაც. „გაუფრთხილდით ცაციებს" — მოვუწოდებ სპორტის სპეციალისტებს.

ა. კონსტანტინოვი,
საკდესის კორ.

●

სურათზე: მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ჯ. მაკინროი ცაციაა.

ფიცრით... ატლანტიკაზე

25 წლის მარსელელი ფიზიოთერაპევტი ფრედერიკ ქირალდი აფროსნობის დიდი ტრფიალია. მის ანგარიშზეა სამი მსოფლიო რეკორდი: შორეულ მანძილზე იალქნიანი ფიცრით ცურვის ხანგრძლივობასა და ამავე „ხომალდით" დღე-ღამის განმავლობაში ყველაზე დიდი მანძილის დაფარვაში. ამას წინათ ქირალდიმ ოკეანე გადასერა სტანდარტული ზომის იალქნიანი ფიცრით — 8,30 კვ. მ.

მან შარშან, 9 დეკემბერს კანარის კუნძულებზე აიღო სტარტი, 26 დღის შემდეგ კი კარიბის ზღვის კუნძულ გვადელუპას მიაღწია. ახალ წელს გზაში შეხვდა. მოგზაურმა 4.826 კილომეტრი განვლო. დღისით ქირალდი ცურავდა, ღამით კი თანამგზავრ კატარღაზე ისვენებდა, რომელიც დრეიფზე დგებოდა.

„იალქნიანი ფიცრით ოკეანის დაძლევა ძალზე ძნელი გამოდგა", — თქვა მარსელში დაბრუნებისას ფრედერიკ ქირალდიმ.

რედაქტორი ა. ბასილაია.

კარატეს მწვრთნელების საყურადღებოდ!

მათ, ვინც გასულ წლებში ხელმძღვანელობდნენ კარატეს სექციებსა და ჯგუფებს ან მომავალში აქვთ ამის სურვილი, 16 იანვარს უნდა გამოცხადდნენ საქართველოს სპორტკომიტეტში. მისამართი: ლესელიძის ქ. № 36, II სართ., ოთახი № 34.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოსტავა, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 08022